

ხათუნა ჯორბენაძე**დიმიტრი ბაქრაძის და მარი ბროსეს სამეცნიერო
ურთიერთობისათვის**

გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ 1847წ. 19 აგვისტოდან 1848 წლის 23 ივლისამდე საქართველოში იმოგზაურა. მეცნიერის მოგზაურობის მთავარ მიზანს, საქართველოს ნახვა და მისი სიძველეების შესწავლა წარმოადგენდა. მოგზაურობის პერიოდში მ.ბროსეს მიზნად ჰქონდა დასახული, მის ხელთ არსებული ისტორიული ცნობების ადგილზე გადამოწმება და აგრეთვე ახალი საინტერესო დოკუმენტების მოძიება [12, გვ.110].

მარი ბროსე ყველანაირად უწყობდა ხელს საქართველოს სიძველეებით დაინტერესებულ მეცნიერებს, შუამდგომლობდა მათთვის რუსეთის აკადემიის და ხელისუფლების წინაშე, აძლევდა მითითებებს, ინსტრუქციებს. მისი მუშაობის ასეთმა მეთოდმა აამოძრავა ქართველი და რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები და უამრავი საინტერესო მასალის მოპოვების საშუალება მისცა მათ [11, გვ.84].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ.ბროსეს ზრუნვა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისადმი. თავდაპირველად დიმიტრი ბაქრაძის საქმიანობის შესახებ მარი ბროსემ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის წერილით შეიტყო, რომელშიც მოხსენიებული იყო საქართველოს სიძველეებითა და მათი შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა [14, გვ.259]. მარი ბროსე დიმიტრი ბაქრაძეში ხედავდა თავის ღირსეულ მემკვიდრეს: “ძალიან დავებრდი და ამისათვის მწადიან, რომ ყმაწვილმა ყმაბა გაათავოს ჩემგან დაწყებული”-ო. წერდა იგი დ. ბაქრაძეს 1866 წელს [10, გვ.77]. 1857 წელს ჟურნალ “ცისკარში” (№2) მარი ბროსესადმი მიძღვნილი დ. ბაქრაძის ნაშრომის “საქართველოს ისტორიის წყაროების” დაბეჭდვის გამო, მ.ბროსეს სამადლობელ სიტყვებში ვკითხულობთ “დიმიტრი კონსტანტინეს ძის მეღვინეთუხუცესიშვილის ხელით მახელით თქვენი შედგენილი სიტყვა: “ქართული ისტორიული წყაროები”, რომლისთვისაც მე დიდად მადლობელი ვარ: ეს სიტყვა ძალიან მესიამოვნა, არა მხოლოდ მისთვის, რომ თქვენ ღირსების მეტი აქვთ ჩემს

ნამუშავევსა და საქართველოს სიძველეთა და ისტორიისა მეძიებლობათა ჩემთა: მე ასეთი ქების მოყვარე არა ვარ, რომ მივიჩიეო ესოდენი ღირსება... სიხარულით შევიტყვევ ესე რომ უკანასკნელ გამოჩნდა საქართველოში თვით ქართველი კაცი, განათლების მოყვარე, რომელსა სურს გამოძიება და გამოცხადება ძველის ყოფა-ქცევისა და საქართველოს ხალხთა... ნუ დაჰშურდებით ძიებათა და მოთმინებითა მოასწრებთ, და სურვილისა თქვენისა საგანს მიეწევით... ამას გარდა აქა-იქა მიმოსვლით, შეგიძლიათ მოაგროვოთ ზედწარწერილობა საყდართა, მონასტერთა და სხვათა შენობათა.”¹

ფასდაუდებელია მ.ბროსეს ღვაწლი საქართველოს წყაროების მეცნიერული გამოცემის საქმეში. მან “ქართლის ცხოვრება”-ში მოყვანილი ცნობები ადგილობრივი ძეგლების და სიძველეთა უშუვალო გაცნობით გადაამოწმა. ამ შრომატევადი საქმის დასრულებისთანავე აკადემიის დადგენილების თანახმად მ.ბროსე შეუდგა “ქართლის ცხოვრების” ტექსტისა და აგრეთვე მისი ფრანგული თარგმანის პარალელურად ბეჭდვას [7, გვ.129]. იგი ცდილობდა წერილობითი წყაროებისა და სხვა მასალის შესწავლის საფუძველზე საქართველოს ისტორიის სურათის აღდგენას, მაგრამ მეცნიერის აზრით საჭირო იყო უფრო მეტი მასალის მოძიება: “თუ ვინმე გამოჩნდა, რომელიც ხელს მოკიდებს ამ შრომას, მაშინ მრავალი წლის კეთილსინდისიერი და გულმოდგინე მუშაობის შემდეგ, მისი ჯილდო იქნება უტყუარი და კრიტიკული ისტორია საქართველოსი” [6, გვ.3].

დ.ბაქრაძე კვლევა-ძიების დროს ითვალისწინებდა თავისი წინამორბედის დიდ გამოცდილებას; ხელმძღვანელობდა იმ ინსტრუქციებით, რომელიც აკადემიის ნებართვით მ.ბროსემ შეადგინა დ.მეღვინეთუ—ხუცე-სიშვილისათვის [2, გვ. XIII].

დიმიტრი ბაქრაძის - კვლევის თანამედროვე მეთოდებით შეიარაღებული ისტორიკოსის - გამოჩენა წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს ქართული ისტორიოგრაფის შექმნასა და განვითარებაში. დ.ბაქრაძე, მართლაც, დიდი მონდომებით მუშაობდა ქართულ სიძველეთა მოძიებასა და შესწავლაზე. 1860

¹ წერილი შემოკლებულია. დედანი ინახება კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში. მარი ბროსეს ფონდში. წერილი 1857 წლის 18 იანვრითაა დათარიღებული და გამოგზავნილია სანქტ-პეტერბურგიდან. [10, გვ.78].

წელს მან მოიარა სვანეთი, სადაც მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მეცნიერს თავისი მოგზაურობების შედეგად შეკრებილი მასალებით უნდა დაემტკიცებინა არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა. თუ მთელ საქართველოში არა, პოლოტიკურად უფრო მნიშვნელოვან რეგიონებში მაინც [5, გვ. 35-37].

დიმიტრი ბაქრაძე არქეოლოგიური შესწავლის მთავარ პუნქტად თურქეთის მიერ მიტაცებულ მდ. მტკვრის ზემო წელისა და ჭოროხის აუზის ძველი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებს მიჩნევდა: “თუ ამას მოვახერხებთ - წერდა იგი მ.ბროსეს, მე მთელ წლებადნელ ზაფხულს ამ მხარის შესწავლას შევწირავ” [14, გვ. 262]. დ.ბაქრაძის ეს წინადადება მ.ბროსეს ძალისხმევით განიხილა პეტერბურგის აკადემიამ და 1873 წ. 24 აპრილს დართო მას ნება ემოგზაურა გურიასა და ახალციხის მხარეში: “მაქვს პატივი გაცნობოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ არჩევანი გააკეთა, ბატ. დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეზე, როგორც საუკეთესო პიროვნებაზე. რათა მან ჩაატაროს სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართული არქეოლოგიის განვითარების თვალსაზრისით, სხვათა შორის, 1860 წ. სვანეთში ჩატარებული მოგზაურობის გამოცდილების და ურთიერთკავშირების გამოყენებით.

სანამ აკადემია უშუვალოდ მიიღებს გადაწყვეტილებას მათგან დამოუკიდებლად ჩემს თავზე ვიღებ, მივცე რეკომენდაცია ამ შესანიშნავ ადამიანს, გაეცნოს პროექტს. მთელი სიძნელეები აიღოს თავის თავზე, მხედველობაში მიიღოს ჩვენი შეხედულება და შეავსოს ჩვენი ცოდნა. ჩემი აზრით, ამ ჯერ კიდევ ხელშეუხებელ და საოცრად მიმზიდველ ქვეყანაზე.” (თქვენი მონა მორჩილი მ.ბროსე, სანქტ. პეტერბურგი 13 აპრილი 1873 წ.).²

როგორც ჩანს, აკადემიამ დ.ბაქრაძის ამ წერილის საფუძველზე 1873წ. 24 აპრილს ნება დართო ემოგზაურა გურიაში და ახალციხის მხარეში.

² მარი ბროსეს წერილი ინახება საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში. ფონდი №5, აღწერა 1, 3022. წერილი შესრულებულია ფრანგულ ენაზე; აღრესათის ვინაობის გარჩევა ვერ ხერხდება. ქვეყნდღედება პირველად: ქართულ ენაზე თარგმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ისტორიისა და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის განყოფილების თანამშრომელმა მანანა ხუციშვილმა.

მ.ბროსემ დ.ბაქრაძეს შეუდგინა სათანადო ინსტრუქცია და იმავე წლის აგვისტო-ოქტომბერში დ.ბაქრაძემ შემოიარა გურია, აჭარა, და დაწვრილებით აღწერა იქ ნანახი სიძველეები. პირველი მოხსენება მოგზაურობის შესახებ დ. ბაქრაძემ 1874 წლის 2 იანვარს გაუგზავნა მ.ბროსეს. მეცნიერმა ამ მოხსენების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა აკადემიის უწყებებში, ხოლო დანარჩენი ხუთი მოხსენებაც მარი ბროსეს გაუგზავნა, რომლისგანაც შედგა ერთი ნაშრომი და 1878 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. წიგნი გამოქვეყნებულია პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის მიერ. ეს ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის შესანიშნავ ნიმუშს [1, გვ.166-167].³ წინასიტყვაობაში დ.ბაქრაძე აღნიშნავდა: „რაც შეეხება გურიას, საქართველოს ამ პატარა კუთხეს, მისმა არქეოლოგიური მასალების სიუხვემ გადააჭარბა როგორც ჩემს, ისე მ.ბროსეს მოლოდინს... გურიის არქეოლოგიურმა შესწავლამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა... სამწუხაროდ ძეგლები თანდათანობით იკარგება და ამიტომ მეცნიერების ინტერესებისათვის სერიოზული ღონისძიებების მიღება მათ გადასარჩენად და დასამუშავებლად ეკისრება მთავრობას, ისევე როგორც თვით ქართველ ქართველ საზოგადოებას“ [8, გვ.292]. დიმიტრი ბაქრაძის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, თითქმის არ განსხვავდება თანამედროვე არქეოლოგიაში დამკვიდრებული კვლევითი მეთოდებისაგან. დ.ბაქრაძე შეისწავლიდა მხარის ტოპოგრაფიას, ისტორიულ წყაროებს, აღწერდა არქეოლოგიურ ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებს, საეკლესიო ნივთებს და სიგელ გუჯრებს [8, გვ.293].

ნაშრომის გაცნობის შემდეგ, მ.ბროსემ რუსეთის აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე გამოაცხადა: “დ.ბაქრაძემ დაამტკიცა მასზე დაკისრებული საქმის ღრმა ცოდნა, გამოამჟღავნა მეცნიერული კვლევის საჭირო დიდი ანალიზური ნიჭი... გაუწია მეცნიერებას დიდი სამსახური” [1, გვ.7-28].

³ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დიმიტრი ბაქრაძის ფონდში (№32), ინახება წერილი: “Ei në y ñ i è ñüü à, î ð ß ò ããðæý Á.Á.Àãðããçã í à èì ý àèàããì èèè Àðì ññã”. წერილი არ არის დათარიღებული, მაგრამ იქ მოხსენიებული ფაქტების საფუძველზე (ნაშრომი “მოგზაურობა, გურიასა და აჭარაში” - უკვე გამოქვეყნებულია, ხოლო V არქეოლოგიური ყრილობა ჯერ ჩატარებული არ არის).

მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი დამსახურება ქართული პალეოგრაფიის შესწავლა-განვითარების საქმეში. მ.ბროსე თვლიდა, რომ პალეოგრაფიული მასალის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მართალია, მ.ბროსეს მიერ ეპიგრაფიული მასალა ყოველთვის სათანადო დონეზე არ იყო შესწავლილი და შემდგომში მეცნიერთაგან მრავალი რამ შესწორდა კიდეც (დიმიტრი ბაქრაძის მიერაც), მაგრამ თავის დროზე ეს იყო ფასდაუდებელი საქმე, იმ დროის მოთხოვნილებათა და მეცნიერის შესაძლებლობათა ფარგლებში [11, გვ.124].

მ.ბროსეს ძალისხმევით რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ, ყურადღება მიაქცია დ.ბაქრაძის მონოგრაფიას: “კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები”, სადაც მოცემულია საქართველოს ქრისტიანული ძეგლების აღწერილობა. მ.ბროსეს წინადადებით დ.ბაქრაძეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისაგან პირველი ხარისხის ოქროს მედალი მიენიჭა [3; 4, გვ.12].⁴

საკმაოდ მნიშვნელოვანია ის საარქივო მასალა, რომელიც მ.ბროსესა და დ.ბაქრაძის მოღვაწეობასა და მათ ურთიერთობას ასახავს. მ.ბროსეს არქივის ძირითადი ნაწილი მისმა შვილმა ლავრენტიმ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადასცა. უკანასკნელ წლებში მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი მასალები გამოჩნდა საფრანგეთშიც [9, გვ.14]; [13, გვ.7].

კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მ.ბროსესა და დ.ბაქრაძის ფონდებში, სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ამ მეცნიერთა შორის მიმოწერის ამსახველი წერილებიცაა დაცული, რომელთაგან ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებულია, ხოლო ზოგიერთი მათგანი შესწავლასა და გამოქვეყნებას მოითხოვს.

დიდია მ.ბროსესა და დ.ბაქრაძის ღვაწლი XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში. მათ დაუდეს სათავე ქართულ პალეოგრაფიას და გარკვეულ წილად არქეოლოგიურ კვლევა-ძიების განვითარებას საქართველოში.

⁴ ჯერ-ჯერობით ამ ოქროს მედლის ადგილ-სამყოფელი უცნობია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანჩაბაძე გ. დ. ბაქრაძე როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. თბ., 1982.
2. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თბ., 1987.
3. ბაქრაძე დ. ივერია, 1890წ., №32.
4. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან თბ., 1996.
5. ღუმბაძე მ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950.
6. კიკვაძე ა. XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება—მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის თბ., 1951.
7. მარი-ფელისიტე ბროსე. ბიბლიოგრაფია. შემდგენელი ლ. ბროსე. თბ., 1999.
8. სადრაძე ვ. დიმიტრი ბაქრაძე, გურიის წარსულის დაუცხრომელი მკვლევარი (1826-1890). —გურია III, თბ., 2001.
9. ტაბაღაძე ი. მარი ბროსეს ნაკვალევზე.— დროშა, 1965, №2. შარაძე გ. მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი. თბ., 1983.
10. ხანთაძე შ. ბროსე. თბ., 1960.
11. ხანთაძე შ. აკადემიკოსი მარი ბროსე.— ცისკარი 1960, №1.
12. ხოშტარია—ბროსე ე. აკადემიკოსი მარი ბროსეს საარქივო მემკვიდრეობა.—ლიტერატურული საქართველო. 2002 წლის 3 მარტი.
13. Ао̀а̀:~èäçá Á. Ì ùðè Áðî ññá. Òá., 1983.

K. Jorbenadze

Scientific relations of D. Bakradze and M. Brosset.

(Summary)

In the second half of the 19-th century in the studies the History of Georgia and material culture the interrelations of the well-known French scientist M.Brosset and the outstanding Georgian scientist and historian D.Bakradze plays a great role. While working at archaeological researches D.Bakradze used to take advice of his senior colleague.

Visiting different parts of Georgia, D.Bakradze stated the necessity of archaeological excavations. He considered that the upper part of the Mtkvari (Kura) and Chorokhi territory of ancient Samtskhe - Saatabago were the main regions of archaeological researches. He even wrote about it to M.Brosset.

M.Brosset made instructions for D.Bakradze for his travels. In August and in October (1877), D.Bakradze travelled in Guria and Adjaria. He scrupulously described the ancient remains he saw there. After this journey D.Bakradze published a fundamental work: "archaeological journeys in Guria and Ajaria", which is an important specimen of an archaeological research.

Due to M.Brosset's efforts, the Archaeological Society of Russian Empire drew attention to D.Bakradze's monograph "The Ancient Christian Monuments of the Caucasus", where the ancient Christian monuments of the Caucasus are described. On M.Brosset's suggestion a gold medal was awarded to D.Bakradze by the Moscow archaeological society in 1877.

Researches carried by M.Brosset and D.Bakradze for years established a foundation for the Georgian historiography of the 19 the century, as well as for the Georgian paleography and partly for the development of archaeological researches in Georgia.